პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 180 (18422) ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: (ზემოდან): მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფა ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის სახმოთა მეურნეობაში; ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. ბიგვავა, ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე-მექანიზატორი ნ. ქარჩავა და ინგირის ჩაის სახმოთა მეურნეობის მეთოთხმეტე მექანიზებული რგოლის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია.
თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საუბილეო ვახტი გვაკვალებს: 532.000 ტონა ჩაი!

მეჩაიეებო: აგვისტო გადამწყვეტი თვეა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმზე აღინიშნა, რომ ამინდის არახელსაყრელმა პირობებმა სერიოზული სიძნელენი შეუქმნა მეჩაიეობას, პირველი ვეგეტაციის პერიოდში 200 ათასი ტონაც კი ვერ მოიკრიფა. აცივებამ დააყოვნა მეორე ვეგეტაციაც. სამწუხაროდ, სხვაობა ჯერჯერობით არ მცირდება. და პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მოუწოდა ყველა მეჩაიეს „...მაქსიმალურად ეცადონ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა დაძლიონ ჩამორჩენა, პირნათლად შეასრულონ სოციალისტური ვალდებულებანი, და ამ საქმეს სათავეში კომუნისტები უნდა ჩაუდგნენ“.

ჩაის პლანტაციებში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. ბუნება ქირვეულობს, კოკისპირული წვიმები, სეტყვა სამუალებას არ აძლევს მეჩაიეებსა და მექანიზატორებს შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთონ, არადა, დრო არ იცდის, დუყები დროზე მოუკრეფობითა და სიცივისაგან უხეშდება, კნინდება. ამიტომ იელსაში ვერ შესრულდა მაის-ივნისის დანაკლისით სამი თვის ვეგეტა. ამას მონმოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ოპერატიული მონაცემები: რესპუბლიკაში 4 აგვისტისათვის დამზადებულია 300.593 ტონა ნედლეული, შარშანდელ ამ რიცხვთან შედარებით 42.072 ტონით ნაკლებია მოკრეფილი. ეს კი დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს.

ბევრმა სახოგადოებრივმა მეურნეობამ რამდენადმე გააძლიერა სამუშაოთა ტემპი.

ახლა, უამინდობის მიუხედავად, მეჩაიეებმა და მექანიზატორებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დაუშვან შემდგომი ჩამორჩენა ჩაის ფოთლის დამზადებაში და აგვისტოში დაძლიონ დასახული მიჯნები.

რესპუბლიკის მეჩაიეთა გადიდებული ვალდებულების — 532 ათასი ტონა ჩაის ნედლეულისათვის ბრძოლა აგვისტოში მთელი ძალით უნდა გაჩაღდეს, შარშან ჩაის ფოთლის კრეფისათვის შედარებით უკეთესი ხელსაყრელი ამინდები იყო და საქართველოს მეჩაიეებმა რეზერვების ამოქმედებით დაამზადეს 525 ათასი ტონა ნედლეული. შემდეგ გადიდებულ ვალდებულებასთან ერთად მეჩაიეებმა იკისრეს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი ამაღლება, ქართული ჩაის დაკარგული პრესტიჟის აღდგენა.

სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამით განსაზღვრულია „სწრაფი ტემპით გაიზარდოს ჩაის სანარმოო სიმძლავრენი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი“. უფრო ადრე კი, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ზეიმზე, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ გვერდს ვერ ავუვლით ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემასაც... ეს პრობლემა საფუძველიანად უნდა გადაწყდეს.

დიახ, ახლა ამ ეტაპზე მეჩაიეებისათვის არ არსებობს უფრო დიდი ეროვნული საქმე, ვიდრე ქართული ჩაის ღირსების აღდგენაა. ამ მიმართულებით ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიის თაოსნობით კარგად მუშაობენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში დღემდე დამზადებული ნედლეულის 79,2 პროცენტი პირველი ხარისხისაა, შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით მეტი. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ხარისხისათვის ბრძოლამ ერთი წუთითაც არ უნდა შეაფერხოს რაოდენობრივი ზრდა, რაც დიდ გარჯასთან, მოუღლელ შრომასთან ერთად მოითხოვს მინდობილი საქმისათვის მეჩაიეთა მაღალ პასუხისმგებლობას და ოპტიმისტურ განწყობილებას.

მოუხდავად იმისა, რომ ახლა ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად არის შემოსული, მეჩაიეებს არც ის უნდა დაავიწყდეთ, რომ, თუ პლანტაციებს ამთავითვე არ გავუფრთხილდებთ, არ ვიხრუნებთ მათი დამატებითი გამოკვებისათვის, რაც აგრონომებთან არის გათვალისწინებული, მინერალური და ორგანული სასუქების დროულად და ხარისხიანად შეტანისათვის, პლანტაციების ძირების გაფხვიერებისა და ეკალ-ბარდებისაკენ გაწმენდისათვის, მაშინ მოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაეცემა და არა მარტო წლევანდელი უხვი მოსავლის მიღებას შეუშლის ხელს, არამედ მომავალი წლის მოსავლიანობასაც შეამცირებს, ბუჩქებს დააკნინებს. ამიტომ ის შრომატევადი სამუშაოები, ჩაის პლანტაციებს რომ სჭირდება, არ უნდა მოვაკლოთ და მაშინ ნაჯაფი, ოფლით დაცვარული ბუჩქებიც უხვად აანაზღაურებს მეჩაიის გარჯას, ეს მრავალი წლის პრაქტიკითა და მეცნიერული დაკვირვებებით არის დადასტურებული.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გასაძლიერებლად ისე, რომ ამან არ გააუარესოს ხარისხი. ბოლო უნდა მოეღოს უყაირათობას, უპასუხისმგებლობას, შრომის უუფი ორგანიზაციის ფაქტებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში ვაწყდებით. დროულად უნდა ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი, არ უნდა დავუშვათ ფოთლის ბუჩუნების ფაქტები. მეუხედავად ხშირი წვიმებისა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ იქ, სადაც უამინდობას დაუპირისპირეს შეუპოვარი შრომა, შედეგიც სანაქებოა. ასეთი კოლექტივები საბედნიეროდ ერთეული როდია. იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები ნიადაგ უთმობენ ყურადღებას სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას, ზრდილ სამეურნეო მუშაკთა პასუხისმგებლობას, რაზმავენ კოლექტივებს, მის ყველა ნევრს საიუბილეო წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, შედეგებიც უკეთესი აქვთ.

ძირითადი და მთავარი, რასაც ახლა მთელი გულისყური უნდა მიეგრაროს, ის არის, რომ მაის-ივნის-ივლისის დანაკლისის დაფარვასთან ერთად შესრულდეს აგვისტოს გეგმა-ვალდებულება, რაც წლიური გეგმა-ვალდებულების უთუო განაღდების გარანტია იქნება. ამისთვის კი საჭიროა არსებული რეზერვების მთელი ძალით ამოქმედება. მთავარია დანაკარგებთან ბრძოლა, შრომის სწორი ორგანიზაცია, ჩაის ფოთლის საკრეფი მობილური და ცალი მექანიზაციის რაციონალური გამოყენება. ყველა მექანიზატორი უნდა შრომობდეს ინგირელი მექანიზატორების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. მეუნარგიას და ნ. ქარჩავას მაგალითით.

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის წამყვან მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებში მრავალი კარგი ინიციატივა იშუა. ეს გახლავთ ტემპერატურის დაცემის გამო ჩაის გაუხუშებული დუყების მობილური მანქანებით ორჯერ კრეფა, ნვიმიან ამინდში ჩაის ფოთლის კრეფა და სხვა. მათი ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს, ამ ინიციატივათა შესახებ იციან ჩვენმა მეჩაიეებმა. სადაც ამ მეთოდებს ნერგავენ, ნარმატებებაც აღნევენ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ნედლეულის წარმოება, აამაღლა მისი ხარისხი. მახარაძელ და ზუგდიდელ მეჩაიეთა ინიციატივა, პროგრესული მეთოდები სწრაფად უნდა დაინერგოს ყველა მეურნეობაში, ბრიგადებსა და რგოლებში. ამ და სხვა რეზერვების ამოქმედება ხელს შეუწყობს საერთო საქმის აღმავლობას.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად აღაფრთოვანებს და ახალ სტიმულს მატებს მუშაობაში ჩვენს მეჩაიეებსაც. ამ დადგენილებით აღფრთოვანებული მეჩაიეები და ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელი მრეწველობის მშრომელები ახალი ძალით, ახალი ენერგიით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შინაგანი რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური ამოქმედებისათვის, რათა ღირსეულად შეხვდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

დიდ, ყველა მეჩაიეს დაბეჯითებით იცოდეს, რომ აგვისტო ხარისხოვანი ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა. ამიტომ ყოველი დღე, საათი მოვახმაროთ ჩაის კრეფის გეგმის უთუო შესრულებას. ეს არის დღეს ყველაზე პატრიოტული საქმე მეჩაიე რაიონების მშრომელთისთვის!

ზუგდიდელთა დიდი საქმე

ხარისხთან ერთად რაოდენობა—

ასეთია თაოსნან მეჩაიეთა

მბკიცე პირობა

ზუგდიდი 27 ივლისის გაზეთ „მეგრელოს“ პირველ გვერდზე აშშლაგო „ერთიანი ძალით დავირაზმოთ მეჩაიეობაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის დასაძლევად“ დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის „ღია წერილი რაიონის ყველა მშრომელისადმი“. ეს წერილი არ შეიძლება აუდელვებლად წაიკითხო და სტიქით გამოწვეული ძმიმე სიძნელეების დასაძლევად გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის მონაწილეთა გვერდით არ დადგე, მათი ჭირ-ვარამი არ გაიზიარო და მათთან ერთად არ შეეკერინო ბუნების სტიქიას.

გახუზმეული იყო მეჩაიეთა მისწრაფება და სურვილი სწრაფად მოკრეფოთ უხვად შემოსული ნედლეული. ისინი თავდაუზოგავად შრომობდნენ, საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა მათი დაუცხრომელი სწრაფვა შესრულონ საკისარი ვალდებულება — ხარისხთან ერთად გაზარდონ რაოდენობრივი მაჩვენებლები. მაგრამ ბუნება გაჯიუტდა, სიცივემ და წვიმებმა არათუ ხარისხი, რაოდენობაც საფრთხის წინაშე დააყენა.

—„...მდგომარეობა საგანგაშოა, — ეკითხულობთ ღია წერილში, — ამინდის მუხანათობა უმძიმეს გამოცდას გვიწყობს... უკან დახევა გზა არა გვაქვს. შედეგი, დათმო პოზიციები — ეს რესპუბლიკის ავტორიტეტის შელახვას, ერის შერცხვენას ნიშნავს. ჩაის ახლა უნდა შველა, ახლა ყველაფერს გადაწყვეტს მაქსიმალურად მობილიზების, კუდზე კაცის გამოსვლის, პლანტაციებში ნამდვილი ინოფიზიზმის, ცეცხლის დანთების ხელოვნების. ეს ნიჯი თქვენშია რაიონის სახელოვანო მშრომელებო“...

ასე მიმართავს, ასე იღვწის და იბრძვის, ამხნევებს და რაზმავს რაიონის ყველა მშრომელს დასახული მიჯნების სალაშქროდ ეს ღია წერილი ამ უამინდობის ჟამს. სხვა გზა არ არის. მეჩაიეებს ბუნებამ კოკისპირული წვიმებით და წყალდიდობა არ აკმარა. ახლომდებარე მთები ჩამოთოვა. სიცივემ უხვად შემოსული დუყები დააკნინა. საპირო დროულად მოკრეფა, რომ ახალი დუყის ამოსვლას, ზრდა-განვითარებას ხელი არ შეეშალოს.

არადა, ამინდი არ ცხრება, კვლავ ჭირ-ვეულობს...

31 ივლისს კოკისპირულად წვიმდა. თავსხმაში ავტომობილში ძლივს მოვკალადით, მაგრამ ამაოდ. წყალდიდობამ, ნიაღვარმა რაიონულ ცენტრს ვერ გაგვაშორა. ადიდებულმა მდინარეებმა ჯიბრაში გაარღვია, დაატბორა ველ-მინდვრები, მეცხოველეობის ფერმები, მოსახლეობის ეზო-კარი. სათუთად მოვლილი სიმინდის ყანები, ეროფწლოვანი კულტურები, ტოფოლები, ფრინველები ნიაღვარმა მოსრა და საკმაოდ დიდი ნაწილი შავი ზღვის ტალღებს შეუერთა. კვლავ დიდი ზარალი მიაყენა ბუნებამ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მოსახლეობას.

პირველ აგვისტოს დილის 9 საათზე წვიმა ოდნავ რომ შენელდა, ზარაფდა ბენეფიციარიელ ოფიციანტ ტ. ზარანდიამ ჩანაწერები მოიმარჯვა და გვითხრა, ზუგდიდის რაიონისათვის მრავალწლიური მონაცემებით (30-40 წლის მონაცემებით), იელისში საშეალოდ უნდა მოდიოდეს 163 მილიმეტრი ნალექი. ფაქტობრივად წლევანდელ ივლისში მოვიდა 560 მილიმეტრი, რაც ნორმაზე 3,5-ჯერ მეტია. წვიმისაი იყო 19 დღე, აქედან 4 დღეს 100 მილიმეტრზე მეტი ნალექი მოვიდა. 6 და 7 ივლისს მოსული ნალექების ჯამმა 238 მილიმეტრი შეადგინა. 30 ივლისს მოვიდა 98 მილიმეტრი ნალექი, 31 ივლისს — 110 მილიმეტრი. საერთოდ კოლეგიის დაბლიზზე ზზიანი ღი ოდა 8 ივლისს.

მეტეოროლოგიური სადგურის ეს მონაცემები იმიტომაც მოვიყვანეთ, რომ მკოთხველისათვის დამჯერებელი იყოს, რა ძმიმე კლიმატურ პირობებში უხდებათ აქაურ მეჩაიეებს შრომა, მაგრამ იმედს არ კარგავენ, გმირულად იბრძვიან საიუბილეო უხვი მოსავლისათვის, ნაკისრი გადიდებული ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, და შედეგიც თანდათან გამოიკვეთა. რაიონის ხელმძღვანელობა ჩასწვდა თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობის შესაძლებლობებს, სათანადო შეფასება ეძლევა არსებული რეზერვების მაქსიმალურად ამოქმედებას, ახალი თაოსნობანი იშვა ადგილთში, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, რომლებზეც ვრცელად იყო მოთხრობილი 21 ივლისის „კომუნისტში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში „ხარისხის გაუჯობესების მთავარი ფაქტორი, ანუ როგორ იბრძვიან ზუგდიდელი მეჩაიეები თავიანთი თანამემამულის თამარ ყუფუნიის ინიციატივის — „აღუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება“, — განხორციელებისათვის“.

ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 14 კომპლექსურ-მექანიზებული რგოლის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. მეუნარგიამ და ინგირის სტალინის სახელობის კოლეგიურების ნარჩენებულმა მექანიზატორმა ნ. ქარჩავამ გამოიჩინეს თაოსნობა, რომ უამინდობის გამო ჩაის გაუხუშებული დუყების მობილური მანქანებით ორჯერ კრეფა, ნვიმიან ამინდში ჩაის ფოთლის კრეფა და სხვა. მათი ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს, ამ ინიციატივათა შესახებ იციან ჩვენმა მეჩაიეებმა. სადაც ამ მეთოდებს ნერგავენ, ნარმატებებაც აღნევენ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ნედლეულის წარმოება, აამაღლა მისი ხარისხი. მახარაძელ და ზუგდიდელ მეჩაიეთა ინიციატივა, პროგრესული მეთოდები სწრაფად უნდა დაინერგოს ყველა მეურნეობაში, ბრიგადებსა და რგოლებში. ამ და სხვა რეზერვების ამოქმედება ხელს შეუწყობს საერთო საქმის აღმავლობას.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად აღაფრთოვანებს და ახალ სტიმულს მატებს მუშაობაში ჩვენს მეჩაიეებსაც. ამ დადგენილებით აღფრთოვანებული მეჩაიეები და ჩაის ნედლეულის გადასამუშავებელი მრეწველობის მშრომელები ახალი ძალით, ახალი ენერგიით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შინაგანი რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური ამოქმედებისათვის, რათა ღირსეულად შეხვდნენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

15 დღის წინათ სახელოვანმა მექანიზატორმა ვ. მეუნარგიამ კვლავ ახალი თაოსნობა გამოიჩინა: ჩაის ფოთლის კრეფის გაძლიერებით ყოველგვარ ამინდში დღიურად მოკრეფს 12-15 ტონა ფოთოლი და 25-28 აგვისტოსათვის შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება (670 ტონა), სეზონის დარჩენილ დღეებში კი ვალდებულების გადამეტებით მოკრეფოს 170 ტონა ნედლეული, სულ მოკრეფოს 850 ტონა ჩაის ფოთოლი 4 ჩაის საკრეფი მანქანით „საქართველოთი“ და თითოეული მანქანის დატვირთვა გაზარდოს 212 ტონამდე. დამზადებული ნედლეულის თითქმის 12 პროცენტი პირველი ხარისხისა იქნება, რაც საგვმო ღალეებას 11 პროცენტით გადააჭარბებს.

ვ. მეუნარგიას წვიმიან ამინდში, პირველ აგვისტოს შეეჯიბრნენ პლანტაციაში. იგი ჩაის ფოთოლს კრეფდა, რაც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა თ. ნიკოლაიშვილმა ფირზე აღბეჭდა. აი, რა გვითხრა მან:

— დღეისათვის მოკრეფილი 380 ტონა ჩაის ფოთოლი. აქედან 92 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გასული ამ პერიოდთან შედარებით დამზადებული გვაქვს 27 ტონით მეტი ნედლეული. გვემსახურება უტარო გადაზიდვის ორი მანქანა, ნედლეულა რიტმულად მიდის კაბათის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ო. ჭითანავა), სადაც მას დროულად და ხარისხოვნად ამუშავებენ.

— წლეულს განსაკუთრებულად მოვემზადეთ ჩაის კრეფის სეზონისათვის. პირველი ვეგეტაციის ნედლეული შემჩეიდოდა ვედრებში ავიღეთ, 20 დღით ადრე, ვიდრე გასულ წელს, შესაბამისად ადრე შემოვიდა მეორე ვეგეტაციის ფოთოლი, რომელიც 27 ტონით მეტი მოგკრეფეთ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამასთან, თუ გასულ წელს სამჯერ მოვკრეფეთ ბუჩქი, წლეულს ხუთჯერ ვასწრებთ. ეს არის ჩვენი ძირითადი რეზერვი, ამჟამად ყოველდღიურად 4-5 ტონით მეტ ნედლეულს ვამზადებთ.

წარჩინებულ მექანიზატორს მრავალი მომდევარი ეყავს თავით მეურნეობაში. მრავალთაგან დავასახელებთ ეროს — № 10 კომპლექსურ-მექანიზებული კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელს, კომკავშირის პრემიის ლაურეატს ტ. ფხაზაკაიას. ჰისმა რგოლმა სეზონის

ხარისხის მიმდინარეობა. მოწონავენი და ჩამორჩენილები“. აქ ყოველ ორშაბათს იკვლება მოწონავე და ჩამორჩენილ მეურნეობათა სახელები მდგომარეობის მიხედვით. ეს ერთ-ორ დღეს ადგა, რომ ჩამორჩენილთა სიაში არ მოხვდეს ესა თუ ის მეურნეობა.

კოლმეურნეობათა შორის პირველობას ინარჩუნებს კოკის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ბ. ადამიძე), მეორეა ეახათის მარკესის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ლენინის ორდენოსანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯ. გუგუნია), ჩაის საბჭოთა მეურნეობებიდან პირველ ადგილზეა ზედა ეფრის მეურნეობა-ტექნიკუმი (დირექტორი — გრ. შონია), მეორეზე — ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — ვ. მაჭაკორა), მესამეზე — გახმეზურის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — შ. ანსაბაძე). ჩამორჩენილმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირობა დადეს, ნაკლს მაღე გამოვასწორებთო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — რ. ივარდავა) გამართული მუშაობა, რომელიც წლეულს საზოგადოებრივ ინიციატივა — „ყველა მეჩაიემ, მექანიზატორმა გააკეთოს შესაძლებლობის მაქსიმუმი, ყოველი წუთი, თითოეული დუყი ჩაიყიოს გეგმა-ვალდებულების განაღდების სამსახურში“. ამ ინიციატივის განხორციელებით ინგირელი სეზონის ბოლომდე გეგმა-ვალდებულებათა ნაკისრი 3.571 ტონის ნაცვლად დაამზადებენ 4.200 ტონა ჩაის ნედლეულს და შარშანდელთან შედარებით 5 პროცენტით გაზრდიან პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრით წილს, წამოწყება კარგია, ბევრმა ბრიგადამ სეზონის გასული სამი თვის გეგმა-ვალდებულება პირნათლად განაღდა. აი მაგალითებიც:

მეორე საწარმოო ბრიგადამ (ხელმძღვანელი — ბ. კვარაცკელია) მაის-ივნის-ივლისის ვალდებულება 106 პროცენტით შეასრულა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 ტონით მეტი ნედლეული დამზადა. აქ მოკრეფილი ჩაის ფოთლის 89,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. მერვე საწარმოო ბრიგადამ (ხელმძღვანელი ე. ახალაია) სამ თვეში ვალდებულებთან ნაკისრი 186 ტონის ნაცვლად მოკიდდა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარა 219 ტონა ჩაის ფოთოლი. ნედლეულის 89 პროცენტი პირველი ხარისხისა.

რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭომ (თავმჯდომარე — მ. დემურია) უთუოდ კარგი საქმე გააკეთა, როდესაც პატარა რაიკომის შენობაში პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გააკრა ლამაზი ბანერი, რომელზეც წარწერილია: „რაიონში ჩაის ფოთლის კრეფისა და





ᲓᲦᲔᲡ ᲩᲝᲓᲜᲐᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲨᲕᲘ!

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲓᲘ, მიხალები... რამდენი განცდა, ფიქრი და ოცნება ახლავს მას, და ცრემლიც რამდენი — სიხარულისა თუ სიხარულისა.

ასე იყო და ასე ხდებაც, როცა კვლავ დადგა ეამი გამოცდისა და უმაღლეს სკოლებში მზოლოდ ღირსეულთა მიღებისა.

მიხალები გამოცდები ის თავისებური თემიდაა, რომელშიც მზოლოდ ღირსეულთ უნდა არგუნოს ხტუდენტის ბილეთი.

ჩვენდა საბუნხაროდ, გამონაკლისის სახით მაინც არის ამის ცდები, რომ მავანთა და მავანთა ხელშეწყობით უმაღლეს სასწავლებლებში როგორმე მოხვდნენ უღირსნიც, და რა გაჯს, რა საშუალებებს არ გიმართავენ საამისოდ!..

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ახეთი გამონაკლისები ვერასოდეს მიაუენებენ ჩრდილს ამ მაღალ ავტორიტეტს, რომელიც დღეს აქვთ რეპუბლიკის უმაღლეს სკოლას და მის რიგად საგანგებო რაზმს — საგამოცდო კომისიებს.

და ამაში კიდეც ერთხელ გვარწმუნებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის დ. ჩხიკვაშვილის საუბარი ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

— მოგეხსენებათ, როდენ სასათუთეს, სიფრთხილეს და ბეულისხმიერ დამოკიდებულებას მოითხოვს მისაღები გამოცდები, რომელიც თავის მხრივ, ჭკაცრ და შეუვალ ლოგიკას ექვემდებარება.

წლეულს საგანგებო ღონისძიებანი განხორციელდა სამისოდ, რომ საგნობრივი კომისიები დაკომპლექტებულიყო მაღალკვალიფიციური და ასევე მაღალზნეობრივი გამომცდელებით. უნდა ითქვას, რომ გაითვალისწინა კონტროლიც საგამოცდო კომისიათა მეშაობისადმი უშუალოდ რექტორებისა და უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული და კომკავშირული კომიტეტების მხრივ, რაც თავისთავად გამორიცხავს რაიმე არეზანთი ხასიათის შეცდომებს. და თუ მაინც მოხდა ასეთი შეცდომები, რექტორებს დაევალებოდა აქვთ მათი დროული აღკვეთა.

კვლავ და კვლავ ობიექტურობისათვის ხდება, რომ წლევანდელი მისაღები გამოცდები — ასე საჯაროდ და ყველასთვის საჩინოდ მიმდინარეობს. თუ აბიტურიენტი უკმაყოფილო დარჩა თავისი ცოდნის შეფასებით, შეუძლია პირადად შეხვედეს საგნობრივი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესა და მიმღები კომისიის თავმჯდომარეს (რექტორს) და აქედან გამომდინარე, სრული წარმოდგენა იქონიონს როგორც საკუთარ, ასევე კონკურენტის ცოდნაზეც, რომლის შეფასება რატომღაც ეეშვება.

აბიტურიენტთა ცოდნის უმეტესი შემოწმებისათვის ჩვენს წამყვან უმაღლეს სკოლებში გამოყენებულია სხვადასხვა ტექნიკური საშუალება (გამომთვლელი მანქანები, რადიო-ტელევიზია და სხვ), რომელთა მეშვეობითაც მათ და მათს მშობლებს შეუძლიათ უშუალოდ ადევნონ თვალყური გამოცდის პროცესს.

ისევ და ისევ ობიექტურობისათვის იყო, რომ ახლანდელი გამოცდების წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა უმაღლესი სკოლების რექტორების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების წარმომადგენლების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებათა (რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი სკოლები) ხელმძღვანელების გაფართოებული თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და რომელშაც მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოჭრა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა თათბირმა რიგი დღემდის გადაუწყვეტელი პრობლემების კონკრეტული მისამართი დასახელა, და, აქედან გამომდინარე, სათანადო ამოცანებიც დაუსახა ჩვენს უმაღლეს სკოლას გამოცდების უნაკლოდ ჩატარებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ასეთი განსაკუთრებული ზრუნვისა და მხარდაჭერის მისაგებად უმაღლესი სკოლის მუშაკებმა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა გაართვან თავი წლევანდელ მისაღებ გამოცდებს — ოგვე უმაღლესი სკოლის ამ ერთ-ერთ უფაკიზეს და ურთულეს ამოცანას.

დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

ამის საწინდარია ის, რომ წლევანდელი მისაღები გამოცდები დაიწყო ორგანიზებულად (შექმნილია ყველა პირობა საამისოდ, რომ აბიტურიენტებმა და მათმა მშობლებმა სრული ინფორმაცია მიიღონ აღნიშნულ კამპანიასთან დაკავშირებით) და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად ჯანსაღი ატმოსფერო სუფევს თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში.

ერთი მხრივ, დასანანია, რომ ჯერ კიდევ ბოგინობენ ამგვარი თაღლითები ჩვენში, რომლებიც უმეცარი ალოოთი აჯნებენ მიამტკ მშობლებს, „ძილსაც კი იკლებენ“ და მათი შვილებისათვის ყველაფერს ლობობენ „განსაცდელში ჩავარდნილთა“ „ხელის გასამართავად“. მეორე მხრივ, ქუბის ღონისა ადმინისტრაციულ ორგანოთა სიფხიზლე და პრინციპული ბრძოლა, რომელსაც ასეთ „ქველმოქმედთა“ წინააღმდეგ აწარეთ.

და კიდევ, ასეთმა გამონაკლისმა შემთხვევებმა უნდა დარაზმოს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა, ყველა, ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული გამოცდის პროცესთან, დარაზმოს და ყველაფერი აღონინოს მისი ობიექტურად ჩატარებისათვის.

გვესმოდეს ყველას, ღრმად გვქონდეს შეგნებული უმაღლესი სასწავლებლების თითოეულ მუშაკს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოსაღები გამოცდების ობიექტურობას თელს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად.

აქ წაყურძნებენ და სიფხიზლის ოდნავი მოდუნებაც კი — იმავ ხვალინდელი დღის, ჩვენი საერთო მომავლის დალატის ტოლფასი იქნება.

ᲩᲕᲔᲜᲘ რეპუბლიკის ათასობით ქალაშვილსა და ჯაბუკს ცხარე დღეები დადგა: საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შესახვლელი გამოცდები დაიწყო.

როგორც ყოველთვის, დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში დიდი კონკურსია — ახალგაზრდობა ცოდნას ეხერგავს. მის წინაშე დიდი არჩევანია: ათობით სპეციალობანი მეცნიერების ყველა დარგში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲢᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲐ: ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ ᲔᲮᲔᲠᲒᲐᲕᲡ. მის წინაშე დიდი არჩევანია: ათობით სპეციალობანი მეცნიერების ყველა დარგში.

ᲮᲐᲚᲮᲝᲤᲝᲠᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲢᲠᲘᲡᲐᲜᲗᲐᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲔᲚᲘ Გ. ᲯᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ „საბჭოთა საქართველოს“ გამოუშვა ბირველი ტომი საქართველოს კომპარტიის სანტომიანი მეცნიერული ისტორიისა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. პირველი ნაწილი. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. 1883-1921“.

საქართველოს კომუნისტური პარტია ლენინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმია... „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნის“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა წარმატება, ისევე როგორც ჩვენი პარტიის ყველა გამარჯვება, განუხრელად იმის დაკავშირებული მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორისა და ბელადის, კაცობრიობის ისტორიაში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის სახელთან და მოღვაწეობასთან.

წიგნში ასახულია ვ. ი. ლენინის მუდმივი ზრუნვა და დახმარება საქართველოს პარტიული ორგანიზაციებისადმი, იმ ბრძოლის ბრძნული ლენინური ხელმძღვანელობა, რომელსაც ქართველი კომუნისტები ეწეოდნენ პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და მოწყობისათვის, შინაური და საერთაშორისო კონტრრევოლუციის შეერთებული ძალების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, სოციალიზმის შშენებლობისათვის.

წიგნის მასალები მოწმობს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ვ. ი. ლენინის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ ახალი ტიპის პარტიის მშენებლობაში, რევოლუციური მარქსიზმის პრინციპების სიწმინდისათვის, პარტიის რიგების ერთიანობის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პრაპაგანდის, ხალხთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ლენინური მეგობრობის სულისკვეთებით მზრომელია აღზრდის, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

„საქართველოს რევოლუციური ბრძოლის ისტორია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსი ხალხის, კავკასიის ყველა ხალხის რევოლუციური მოძძრაობის ისტორიასთან, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მოღვაწეობასა და მოძღვრებასთან“.

წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ ეხმარებოდა დიდი რუსი ხალხი ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა სხვა რაზმის ისტორიის შესახებ სიმართლით აღსავსე წიგნის შექმნის დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. წიგნი დახმარებას გაუწევს ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას.

წიგნის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, პროტესტანტული ნაბიჯია XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების გზაზე.

სამტომეული მოამზადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა შრომის წმიერი დროსთან ორდენოსანმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ფილიალმა. „ნარკვევების“ ახალი გამოცემა ილუსტრირებულია, დართული აქვს მოვლენათა მოკლე მატიანე, სახელთა ანბანური მაჩვენებელი.

მალე გამოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის „ნარკვევების“ მომდევნო ტომები. (საქინფორმი).

ᲐᲜᲣ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲐᲫᲘᲝᲤᲐᲡᲗᲐᲡ

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ

ᲡᲔᲡᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲜᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ თუ კულტურული ცხოვრების ყოველი მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივობის ცხოველი ყურადღების საგანია. თანამედროვე მკითხველი დიდი გულისყურით ადევნებს თვალს სამეცნიერო თუ შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოველ მნიშვნელოვან მოღვაწეს, შეუნარჩუნებელი ინტერესით ელის ამგვარი სიახლეების შემცველ ინფორმაციას; ბუნებრივია, ელის სათანადო დონის, საფუძვლიან, ობიექტურ ცნობებს, რომლებიც სოლიდურ მეცნიერულ მონაცემებზე იქნება დაფუძნებული.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ობიექტური და მართებული კრიტიკის გარეშე მეცნიერება, კულტურა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერი მხარე ვერ განვითარდება; ფასდაუდებელია ობიექტური და კეთილსურვილ კრიტიკის მნიშვნელობა, და მას ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაში ამეამად კიდეც აქვს დათმობილი სპპატო ადგილი.

არის თუ არა ამა თუ იმ გზეთის მიერ მოწოდებული სიინფორმაციათ და კრიტიკული მასალა ყოველთვის თანამედროვეთ მოთხოვნათა დონეზე? — ასეთი კითხვა უნებლიეთ დაგებადება ზოგიერთი პუბლიკაციის გაცნობისას. თავისთავად იგულისხმება, რომ გაზეთის მიერ დასაბეჭდავი წერილი კომპეტენტური სპეციალისტების ხელიდან უნდა გამოდიოდეს, ან მათ მიერ იყოს პარობრუნებული და ბუსსნილი. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ელემენტარული პრინციპი დავიწყებას ეძლეკა, და ცალკეულ შემთხვევებში აღმოჩენის ნაცვლად კერიოზს ვიღებთ, ხოლო ობიექტური, ყოველმხრივ გამართული კრიტიკული გამოსვლის მაგივრ — ხელოვნებთ „ბრალდებებს“. ასე ბმადეს სენსაციური „აღმოჩენები“ და „მხილებები“. ისინი არაკანსლო აკეთებენ და მთიქმაბოთქმას ხშვეულ ფართო მკითხველს შორის. როგორც წესი, ასეთი წერილები უხვად არის შემკობილი ბგერეთ წოდებული „მეცნიერული“ ტერმინოლოგიით და „პატრიოტული“ ფრაზეოლოგიით, საქმეში ჩაუხედავი მკითხველის გრძნობებისთვის გათვლილწინებული სხვა ეფექტური ატრაქციებით.

ამ ცოტა ხნის წინათ ავტორიტეტულ ორგანოში დაიბეჭდა წერილი, წარწერეს ავტორმა ორიალეთის ცნობიერი თასის არარსებული წარწერების „გაშიფრვა“ შემოგვთავაზა. ეს იმ სენსაციური წერილების მსგავსი მასალაა, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ იბეჭდებოდა პირველის ნახევარკუნძულის იბერების წარწერათა ქართულად(!) „გაშიფვრისა“ და „ბრძენი რიოს“ მოგზაურობის შესახებ, სხვათა შორის, ინფორმაცია „ორიალეთის თასის არარსებული წარწერის „გაშიფვრის“ შესახებ სწორედ იმ დროს დაიბეჭდა, ოოდესაც თასი საქართველოს საეუნეთო საგანძურთან ერთად პარიზში იყო გამოფენილი. ავტორმა (და რედაქციამ!) ეს პუბლიკაცია სწორედ ამ გამოფენას მოუძღვნეს და, ალბათ, ამითაც სურდათ მისთვის „განსაკუთრებული“ აზრის მინიჭება. რა თქმა უნდა, ასეთ არასერიოზულ, მხოლოდ რაღაც სენსაციურის გამძიბნის აბეზარი სურვილით ნაკარნახევ საგაზეთო წერილებს მეცნიერებასთანაც საერთო არა აქვთ რა და ზიანის მეტი არაფერი მოაქვთ.

ამგვარი „ოხზერულის“ ღირებულება აშკარად თვალში საცემია. უფრო რთულია ეგრეთ წოდებული კრიტიკული „სენსაციების“ საკითხი, სადაც საქმე სერიოზულ პრობლემებს ეხება, მაგრამ ყოველთვის შესაფერისი სერიოზულობით მიდგომა მათდამი არ ჩანს.

ამას წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა 3. ბურეკაშვილის რეპლიკა „ბერიე“ უზუსტობანი“. რეპლიკა შეიბეჭდა 1980 წელს მოსკოვში გამოცემულ „ქველი მსოფლიოს ისტორიის ატლასს“, კერძოდ, კი ბე-9 გვერდზე მოთავსებულ რუკას «Рост Римского государства».

რუკა, რომელზეც ავტორს აქვს საუბარი, სულაც არ ისახავს მიზნად იმდროინდელი მსოფლიოს სახელმწიფოების ჩვენებას თავიანთი საზღვრებით. ეს პოლიტიკური რუკა კი არა, თემატური რუკაა, და მისი ფუნქციაც კონკრეტულია — გვიჩვენოს რომის სახელმწიფოს ზრდა და ეკსპანსია ხუთი საუკუნის მანძილზე. რუკაზე არც სომხეთი და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო, გარდა რომისა, თავისი საზღვრებით არ არის ნაჩვენები, რეპლიკის ავტორი თვითონაც შეეფოდა ამაში შესულა და მკითხველსაც აცდენს. მას რომ რუკისათვის დართული პირობითი ნიშნები გათვალისწინებინა და მეტი დაკვირვება. გამოეჩინა, ეს არ მოუვიდოდა, და არც მეხუთე კლასის მოსწავლეთათვის ვანკუთვნილ რუკებში გაურკვევლობის გამო არ ატეხდა აყიოტაჟს. რუკისათვის თანდართული პირობითი ნიშნებიდან ცხადი ხდება, რომ ლურჯი ტეხილი ხაზი, რომელიც რეპლიკის ავტორს სომხეთის საზღვრად მიუნიშვნია, ჩინამდინელში არის «Территории, зависимые от Римской империи» (სწორედ ასეა აღნიშნული რუკის განმარტებაში). ასეთივე ნიშნებით ამ რუკაზე გამოყოფილია სხვა რეგიონებიც, მათ შორის კოლხეთიც. ამასთან, სომხეთის საზღვრად მიჩნეული ხაზი მიჰყვება მტკვრის მარჯვენა ნაპირს. ამრიგად, ეს ტეხილი ხაზი უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე სომხეთს ეკავა, და ეს იმიტომ, რომ ამ მარტო სომხეთი კი არა, რომის სახელმწიფოზე დამოკიდებული ტერიტორიებიც არის ნაჩვენები.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ეს რუკა ხუთი საუკუნის ვითარებას ასახავს და არა რომელიმე კონკრეტული ისტორიული მოვლენა. ამდენად, ტეხილი ხაზებით ნაჩვენები რომის ექსპანსიის უკიდურესი საზღვრები ხუთი საუკუნის მანძილზე. რაც შეეხება იბერიას და, სხვათა შორის, ალბანეთსაც, ეს სუვერენული სახელმწიფოები რომთან მხოლოდ „მეგობრობის“ სტატუსით იყვნენ დაკავშირებულ და რაკი რომისაგან დამოკიდებულ ტერიტორიებს არ წარმოადგენდნენ, ლურჯი ტეხილი ხაზით მათი შემოსაზღვრა, საერთოდ, არ იქნებოდა გამართლებული. აქვე ისიც გვინდა დავსძინოთ, რომ ამ საკითხის შემოწმება რთული არ არის,—რუკა გამოქვეყნდა მილიონ-ნახევარი ტირაჟით და ყველა დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ეჭეშმარიტებაში გარკვევა. აერზოური არაფრის გამოო, რომ იტყვიან, აი, სწორედ ეს არის.

მაგრამ, აქვე აუცილებლად მიგვანიშნა იმის აღნიშნვაც, რომ ამგვარი სპეციფიკური საკითხის წამოჭრის დროს მეტი წინდაფიდულობა მართებს თვით რედაქციის კოლეგიესაც. საკითხიის დროს კომპეტენტურ სპეციალისტებს გვერდი არ უნდა აუარო. ხომ არ შეიძლება ერთი ავტორის გაუგებრობათა გამო საყოველთაო განვაში ატეხოთ? ამ ეპოქის „ოქროს ხანა“ ... ეს ... ეს ... ეს

ᲨᲔᲕᲐᲩᲔᲠᲝᲗ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲗᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲜᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲘ. Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲜ ᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲔ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, რომ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲬᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲑᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ, რომ ᲛᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲑᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲔᲚᲘᲗᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲓᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲛᲭᲘᲤᲝ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲯᲝᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ. ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠ